

მრავადეროვნული სამხედრო სწავლება Agile Spirit წელს ივრისის ბოლოს გაიმართება



საქართველო მრავადეროვნულ სამხედრო სწავლებას (Agile Spirit 2019) 27 ივრისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, სწავლების ძირითადი დაგეგმარების კონფერენცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც სწავლებაში ჩართული საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო ჯგუფებად დაიყვანენ და საერთაშორისო წვრთნის დეტალები განიხილეს.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, წელს სწავლება კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი იქნება და მასში მონაწილეობას ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან 3000-ზე მეტი სამხედრო მიიღებს. საერთაშორისო სამხედრო წვრთნაში მონაწილე ტექნიკისა და აღჭურვილობის რაოდენობა, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მაისში, საბოლოო დაგეგმარების კონფერენციაზე დაზუსტდება.

მრავადეროვნული სამხედრო წვრთნები საქართველოს თავდაცვის და აშშ-ის ევროპის სარდლობის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობით გაიმართება. სწავლების მიზანი საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, ნატო-ს ძალებთან და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფებთან ურთიერთთავსებადობის გაზრდა, მრავადეროვნული, რეგიონული და ერთიანი პარტნიორობის

შესაძლებლობების ჩამოყალიბება და განვითარება, ასევე შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებაა.